ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181363544**

თარიღი: **16.05.2018**

ადრესატი:
თეიმურაზ ბოლოთაშვილი
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - სამსახურის უფროსი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 11 მაისის #60-01181312547 წერილი, რომლითაც ითხოვთ, ქ.თბილისში, პეტრე იბერის ქ. #6ე (ს.კ.: 01.10.06.001.199), შპს „ბიზნეს სტარი“-ს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში, შემოთავაზებული 746 კვ.მ მდელოს ტიპის მოლი და 1458.1 კვ.მ გრუნტის ცხაურა ვერ ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (2204.1 კვმ).

აღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას გაზონთან და ბუჩქებთან მიმართებით. ამდენად, განმცხადებელმა, გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განსაზღვროს: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი კვიპაროსის სახეობისთვის, ხოლო 20-22 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის. დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აირჩეს, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან. დასარგავი ხის სიმაღლე უნდა იყოს ფოთლოვანი ნერგის დარგვის შემთხვევაში- არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო წიწვოვანის - არანაკლებ 3 მეტრი. (ნერგის გარშემოწერილობა უნდა იყოს არანაკლებ 14 სანტიმეტრი). ასევე, გაცნობებთ, რომ წარმოსადგენია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განსათავსებელი გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი საინფორმაციო დაფა.

საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გიგა გიგაშვილი